საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219
დადგენილების დანართი, პუნქტი 4.3
ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ
IV კვარტლის მდგომარეობით

,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების, აგრეთვე პრივატიზების, რეალიზაციისა და ლიზინგის ფორმით გადაცემის შედეგად ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის N125 ბრძანებით დამტკიცებული წესის, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2017 წლის 27 სექტემბრის N583/სა ბრძანების და 2017 წლის 04 ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2017 წლის 20 დეკემბრის N734/სა ბრძანების და 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს ბალანსზე რიცხული, 6333.00 ლარის საბალანსო ღირებულების სხვადასხვა მოძრავი ქონება განსაკარგავად გადაეცა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"-ს;